

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების
შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა საბაჟო კანონმდებლობაში უწყვეტად მიმდინარე სრულყოფის პროცესმა, კონკრეტულად კი საბაჟო პროცედურების დახვეწის და გამარტივების აუცილებლობამ, საბაჟო კონტროლის მექანიზმების სრულყოფამ, წინააწმდეგობრივი და ორაზროვანი დებულებების გასწორებამ და სამართალდარღვევის ნორმათა სრულყოფამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საბაჟო პროცედურების გამარტივება და რიგი დებულებების სრულყოფა, საერთაშორისო ნორმებთან კარმონიზაცია, ადმინისტრირების ეფექტურობის ამაღლება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს წარმომადგენისათვის 50 000 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის მოთხოვნას მხოლოდ საბაჟო დეკლარირების ან/და დეკლარირებული მონაცემების რეგისტრაციის, დეკლარირებული მონაცემების შემოწმების განხორციელებისას ნაცვლად დღეს არსებული რედაქციისა, რომლის მიხედვითაც 50 000 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის მოითხოვება წარმომადგენლის მიერ ნებისმიერი საბაჟო პროცედურის განხორციელებისას.

2. 9¹ მუხლის ახალი რედაქცია ითვალისწინებს მუხლში აქამდე არსებული უზუსტობების გასწორებას. კერძოდ, კონკრეტდება, რომ წინასწარ გადაწყვეტილებას ძალა აქვს თუ იგი მიღებულია (გაცემულია) აღნიშნულ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე და არა საქონლის შემოტანამდე ან გატანამდე, როგორც ამას არსებული რედაქცია ადგენს.

გარდა ამისა, წინასწარი საბაჟო გადაწყვეტილების მოქმედების ვადა 90 დღის ნაცვლად განისაზღვრება 1 წლით.

3. 26-ე მუხლის მე-5 ნაწილის ცვლილება გამომდინარეობა ამავე მუხლზე მე-6 ნაწილის დამატებიდან, რომლის მიხედვითაც ინტეგრირებული ტარიფი დადგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნაცვლად ფინანსთა სამინისტროს ბრძანებისა.

4. 26-ე მუხლს დამატებული მე-6 ნაწილის მიხედვით ინტეგრირებული ტარიფი დადგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნაცვლად ფინანსთა სამინისტროს ბრძანებისა.

5. 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი რედაქცია ადგენს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დადგინდება მხოლოდ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა და არა მისი გამოყენების წესი, როგორც ეს არსებულ რედაქციაშია განსაზღვრულ, ვიანიდან სეს ესნ-ის გამოყენების წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

6. 33-ე მუხლის მე-5 ნაწილის ცვლილებით სწორდება მექანიკური შეცდომა. კერძოდ სიტყვა „მსგავსი“ იცვლება სიტყვა „იდენტურით“, რაც შეესაბამება „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური

შეთანხმების“ (GATT) მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმების“ ანალოგიურ დებულებას.

7. 37-ე მუხლის პირველი ნაწილის ცვლილებით სწორდება მექანიკური შეცდომა. კერძოდ, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სარეზერვო მეთოდი (მეექვსე) გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ მისი განსაზღვრა ვერ ხერხდება წინა ხუთი მეთოდით და არა მხოლოდ პირველი და მეხუთე მეთოდით, რაც შეესაბამება „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების“ (GATT) მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმების“ ანალოგიურ დებულებას.

8. არსებული რედაქციისაგან განსხვავებით 42-ე მუხლის ახალი რედაქცია ადგენს, რომ ღირებულების განსაზღვრის დებულებების გამოყენება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც შეიცვლება საქონლის გამოყენების მიზანი, რასაც თან მოსდევს ხელახალი საბაჟო პროცედურების ჩატარება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან ერთად.

9. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და არსებული პრაქტიკის შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ საბაჟო კონტროლის დოკუმენტი (აღრიცხვის მოწმობა) გამოიწერება, როგორც ზოგადი დეკლარირების საფუძველზე, ასევე საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებისას. საბაჟო კოდექსის არსებული რედაქცია ადგენს აღრიცხვის მოწმობის გამოწერის შემთხვევას მხოლოდ როგორც ზოგადი დეკლარირების საფუძველზე. 50-ე მუხლის წარმოდგენილი ცვლილება ადგენს მოწმობის გამოწერის ორივე შემთხვევას.

10. 64-ე მუხლის მე-5 ნაწილის ცვლილება ადგენს საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით უბაჟო ვაჭრობის პუნქტის მფლობელის მიერ საბაჟო ორგანოსათვის საჭირო შენობა-ნაგებობისა ან ფართობის უსასყიდლოდ გამოყოფის ვალდებულებას, ისევე როგორც საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონისა და თავისუფალი საწყობის ნებართვის მფლობელების შემთხვევაში, ვინაიდან უბაჟო ვაჭრობის პუნქტში მთავსებულია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი და არსებობს ანალოგიური რისკი საბაჟო კანონმდებლობის დარღვევასა ისევე როგორც საბაჟო საწყობში, თავისუფალ ზონაში, თავისუფალ საწყობში. ამიტომ საბაჟო კონტროლის სრულყოფის მიზნით აუცილებელია ამ შემთხვევაშიც გამოყენებულ იქნეს ადმინისტრირების იგივე დონე, როგორც სხვა საწყობებში.

11. ხშირია შემთხვევები, როდესაც საჭიროა საბაჟო პროცედურების განხორციელება საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს, რის საშუალებასაც კოდექსის არსებული დებულებები არ იძლევა. 66-ე მუხლის ახალი რედაქცია საშუალებას იძლევა საბაჟო პროცედურები განხორციელდეს არასამუშაო დროს და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილების გარდა სხვა ადგილებში. ამასთან ასეთ შემთხვევებში საბაჟო პროცედურების განხორციელების წესი დამატებით განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.

12. 72-ე მუხლის ცვლილებით სწორდება არსებული უზუსტობა. კერძოდ საბაჟო დეკლარაციის ბატილად ცნობა და ძალადაკარგულად ცნობა ერთდროულად შეუძლებელია, ამიტომ კავშირი „ან/და“ იცვლება კავშირით „ან“.

13. 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის ცვლილებით შესაძლებელი ხდება საბაჟო ორგანოს მიერ აღიარებულ იქნეს არამარტო უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ ნიშანდებული საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებები, არამედ ნებისმიერი პირის (რეზიდენტი და არარეზიდენტი) მიერ ნიშანდებული საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებები. შესაბამისი ცვლილება შედის 83-ე მუხლის მე-7 ნაწილში.

14. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი ხორციელდება ფიზიკური პირის მიმართ და არა საქონლის მიმართ, როგორც ეს 84-ე მუხლის პირველ

ნაწილშია აღნიშნული. ამისთვის აუცილებელია ამ ქვეპუნქტის გაუქმება და მუხლზე სხვა ნაწილის სახით დამატება.

15. 84-ე მუხლში მე-3 ნაწილის დამატება გამომდინარეობს 84-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გაუქმებიდან, რომელიც ადგენს, რომ სახლდერის ვადაკვეთისას შემოსავლების სამსახური ახორციელებს სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

16. 112-ე მუხლის ცვლილებით შესაძლებელი ხდება როგორც წესი საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი დროებით გატანა საბაჟო საწყობიდან.

17. საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის კუთხით უბაჟო ვაჭრობის პუნქტი ისეთივე რისკის მატარებელია, როგორც საბაჟო საწყობი და თავისუფალი საწყობი. ამიტომ უბაჟო ვაჭრობის პუნქტში სრულყოფილი საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით აუცილებელია მსგავსად საბაჟო საწყობისა და თავისუფალი საწყობისა უბაჟო ვაჭრობის პუნქტის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამისათვის 114-ე მუხლის მე-5 ნაწილს ემატება „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც სანებართვო პირობად ადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას.

18. 114-ე მუხლის მე-6 ნაწილის ცვლილება ადგენს სრულყოფილი საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით უბაჟო ვაჭრობის პუნქტის მფლობელის მიერ საბაჟო ორგანოსათვის აუცილებელი სათავსის, მოწყობილობებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების უსასყიდლოდ გამოყოფის ვალდებულებას, ისევე როგორც საბაჟო საწყობისა და თავისუფალი საწყობის ნებართვის მფლობელების შემთხვევაში, ვინაიდან უბაჟო ვაჭრობის პუნქტში მოთავსებულია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი და არსებობს ანალოგიური რისკი საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისა ისევე როგორც საბაჟო საწყობში და თავისუფალ საწყობში. ამიტომ საბაჟო კონტროლის სრულყოფის მიზნით აუცილებელია ამ შემთხვევაშიც გამოყენებულ იქნეს ადმინისტრირების იგივე დონე, როგორც სხვა საწყობებში.

19. 121-ე მუხლის ცვლილებით დგინდება, რომ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას თუ გადაუმუშავებელი საქონლის გაიმპორტების შემთხვევაში საბაჟო ვალდებულება გამოითვლება ნედლეულის რაოდენობის და ღირებულების მიხედვით გაიმპორტებისას მოქმედი განაკვეთების შესაბამისად, ხოლო გადამუშავების პროდუქტის (გადამუშავებით შექმნილი პროდუქტის) გაიმპორტების შემთხვევაში – ნედლეულის იმ რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით, რომელიც გამოსავლიანობის ნორმის შესაბამისად იქნა დახარჯული ამ პროდუქტის საწარმოებლად და გაიმპორტებისას გადამუშავების პროდუქტისათვის მოქმედი საბაჟო გადასახდელების განაკვეთების შესაბამისად.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის პირობების დარღვევისათვის წარმოქმნილი საბაჟო ვალდებულება განისაზღვრება ნედლეულის სახეობის, საბაჟო ღირებულებისა და რაოდენობის საფუძველზე ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საბაჟო გადასახდელების განაკვეთებით გაანგარიშებულ თანხასა და გამოსავლიანობის ნორმის შესაბამისად ამ პროდუქტის საწარმოებლად (მისაღებად) დახარჯული შესაბამისი გადასამუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძველზე ამ კოდექსის მე-200 მუხლის შესაბამისად საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მღებული ან მისაღები გადამუშავების პროდუქტისათვის მოქმედი საბაჟო გადასახდელების განაკვეთებით გაანგარიშებული თანხას შორის უდიდესი თანხით.

20. 127-ე მუხლის წარმოდგენილი ცვლილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნაცვლად შემოსავლების სამსახურს ენიჭება უფლება, საქონლის დროებითი შემოტანის კონკრეტულ შემთხვევაში ან/და საქონლის ცალკეული სახეობისათვის დაადგინოს დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის განსხვავებული ვადები.

21. საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად გემები და საჰაერო საფრენი საშუალებები დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით შესაძლებელია მოქცევა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა: 1) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე; 2) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და გამოიყენება მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის, 265-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და 2705-ე მუხლის „რ“ ქვეპუნქტის ნორმებთან, რომელთა მიხედვით გემებისა და საჰაერო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანა გათავისუფლებულია შესაბამისად დღგ-ისაგან, აქციზისაგან და საბაჟო გადასახადისაგან. ამასთან, საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციის თანახმად საქართველოს აღმით მცურავი უცხოური კომპანიის კუთვნილი გემის დროებითი შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სრულად არ თავისუფლდება იმპორტის გადასახდელებისაგან, ვინაიდან საქართველოს საზღვაო კოდექსის თანახმად (თავი II) გემი, რომელიც სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო აღმით, არის საქართველოს ეროვნული კუთვნილება, ხოლო გემის საქართველოსადმი ეროვნული კუთვნილება განისაზღვრება საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციით. 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შემოთავაზებული ცვლილებით დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში სრულიად განთავისუფლებით მოსათავსებელი საქონლის ჩამონათვლიდან კერძოდ კი სატრანსპორტო საშუალებებიდან, რომელთაც პირობა აქვთ, რომ რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ჩნდება გამონაკლისი გემებზე და საჰაერო საფრენ საშუალებებზე, რითაც ეს დებულება შესაბამისობაში მოდის საგადასახადო კოდექსის შესაბამის დებულებასთან.

22. ზემოაღნიშნული ცვლილების შესაბამისად გემები და საჰაერო საფრენი საშუალებები დროებითი შემოტანა უპირობოდ თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან, რითაც ეს დებულება შესაბამისობაში მოდის საგადასახადო კოდექსის შესაბამის დებულებასთან.

23. საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელების თანხის 3%, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად საანგარიშო მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო საგადასახადო კოდექსის 2411, 2551 და 2703 მუხლების დებულებების გათვალისწინებით აღნიშნული თანხების გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. 130-ე მუხლის ცვლილებით სწორდება მექანიკური შეცდომა. კერძოდ საქონლის დროებითი შემოტანისას იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლეულზე გადასახდელი თანხის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება ყოველთვიურად არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ნაცვლედ დღეს არსებული ჩანაწერისა, რომელიც გადამხდელებს ავალდებულებს აღნიშნული თანხის გადახდას ყოველთვიურად არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

24. საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლს დაემატა 21 ნაწილი, რომლითაც დადგინდა იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის დროებითი შემოტანისას დეკლარანტის მიერ მთელი გადასახდელი თანხის ერთდროულად გადახდის შემდეგ წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე ამ საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციით საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანის შემთხვევაში დეკლარანტისათვის დასაბრუნებელი ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩასათვლელი საბაჟო გადასახდელების თანხის გაანგარიშება. საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის მოქმედ რედაქციაში აღნიშნული საკითხი არ არის განსაზღვრული, ხოლო 166-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ასეთ შემთხვევაში მთელი გადახდილი თანხა ექვემდებარება დაბრუნებას, მიუხედავად იმისა რომ, საქონელი ვარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

25. 137-ე მუხლს დამატებული მე-6 ნაწილი აზუსტებს, რომ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას მიღებული პროდუქციის ვადის დარღვევით ან სავრთოდ შემოუტანლობა იწვევს პასუხისმგებლობას საბაჟო სამართალდარღვევისათვის.

26. 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს თავისუფალი საწყობის მფლობელისათვის საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულების დაკისრებას იმ შემთხვევაში, როცა თავისუფალ საწყობში დასაწყობებული საქონლის მახასიათებლები დასაწყობების პერიოდში შეცვლილია იმდენად, რომ შეუძლებელია საწყობიდან საქონლის გატანის შემთხვევაში საქონელი იდენტიფიცირდეს საწყობში საქონლის შეტანისას საქონლისთვის მინიჭებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო კოდით.

27. 166-ე მუხლის პირველი ნაწილის წარმოდგენილი ცვლილება აზუსტებს, რომ საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენება ითვალისწინებს გადახდილი თანხის დაბრუნებას ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლას მხოლოდ იმ საბაჟო რეჟიმისათვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

28. 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის ცვლილებით დგინდება, რომ თუ რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის წინმსწრები რეჟიმი იყო თავისუფალ საწყობში საქონლის გადატანა ან გაიმპორტებული-უკვე ქართული სტატუსის მქონე დეფექტური საქონლის შესარემონტებლად (შესაცვლელად) გატანისას წარდგენილ უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაცია, როგორც ეს ხდება არსებული რედაქციის მიხედვით საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების, საქონლის დროებითი შემოტანის წინმსწრები საბაჟო რეჟიმების არსებობისას.

29. არსებული რედაქციის დებულება ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილების გარდა სხვა ადგილებში ან/და საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის მხოლოდ შემოტანის შესაძლებლობას. 169-ე მუხლის შემოთავაზებული ცვლილება ითვალისწინებს აღნიშნულის შესაძლებლობას საქონლის გატანასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების განხორციელებისას.

30. 171-ე მუხლით გათვალისწინებული დაბრუნებული საქონლისათვის არსებული შეღავათის მინიჭების ერთ-ერთი პირობა - უკან დაბრუნების სტანდარტული 3 წლიანი ვადა არ ვრცელდება საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული გადაუმუშავებელი საქონლის დაბრუნების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება საქონლის გადამუშავების წინასწარ გაცხადებული ვადით.

31. საბაჟო კოდექსის არსებული რედაქცია ითვალისწინებს საერთო გარანტიის წარმოდგენის შესაძლებლობას ორ ან ორზე მეტი მხოლოდ საბაჟო დამუშავების ოპერაციაზე. 177-ე მუხლის წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს საერთო გარანტიის წარმოდგენის შესაძლებლობას ორ ან ორზე მეტი როგორც საბაჟო დამუშავების ოპერაციაზე, ასევე სხვა საბაჟო პროცედურების განხორციელებისას წარმოშობილი და წარმოსაშობი საბაჟო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

32. 193-ე მუხლის ცვლილებით დგინდება, რომ თუ მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილ საქონელზე წარმოიქმნა საბაჟო ვალდებულება, მისი ოდენობა განისაზღვრება საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციაში მითითებული საქონლის სახეობის, საბაჟო ღირებულებისა და რაოდენობის გათვალისწინებით, საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საბაჟო გადასახდელების განაკვეთებით.

33. 202-ე მუხლს დამატებული მე-6 ნაწილი საშუალებას იძლევა საბაჟო ვალდებულება/დავალიანება შესრულებულ იქნეს სხვა პირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურად განსაზღვრული ფორმით.

34. 205-ე მუხლის ცვლილება ითვალისწინებს საბაჟო შეტყობინების გაგზავნასა და ადრესატისათვის ნაბარებაზე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული წერილობითი ფორმით გასაგზავნი დოკუმენტის გაგზავნასა და ადრესატისათვის ნაბარებაზე არსებული წესების გაერცვლებას.

35. 250-ე მუხლის წარმოდგენილი ცვლილებით ამ საჯარო მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საბაჟო დეკლარაციაში საქონლის საბაჟო ღირებულების თაობაზე მონაცემის შეტანის ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, არასწორი მონაცემია (საბაჟო ღირებულების თაობაზე) შეტანილი.

36. კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას (ნებისმიერი სახის ტრანსპორტით) გასატარებელი საბაჟო პროცედურების სრულყოფილად განსახორციელებლად აუცილებელია კონკრეტული პროცედურების (წესების) დადგენა, რაც გაწერლ უნდა იქნეს კანონქვემდებარე ქვენორმატიულ აქტში, ამისათვის კოდექსის 254-ე მუხლს ემატება 7¹ ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესები დადგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

37. 255-ე მუხლზე მე-4 ნაწილის დამატება გამომდინარეობს 26-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილის ცვლილებებიდან და ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დასამტკიცებელი საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის ამოქმედებას 2010 წლის 1 იანვრიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოხალღნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტის მიხედვით გადასახადის მოსაკრებლის ან სხვა სახის განაკვეთების ოდენობის ცვლილება გათვალისწინებული არა არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.